ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
2024 წლის 16 თებერვლის N01-10/14 ბრძანების
დანართი N1

ბსუ-ს საგამოცდო ცენტრის პერსონალისათვის დადგენილი
ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში – ,,უნივერსიტეტი“ ან ,,ბსუ“) დამხმარე სტრუქტურული ერთეულის - საგამოცდო ცენტრის (შემდგომში - ,,ცენტრის“) დამხმარე თანამდებობაზე დასაქმებისათვის ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შეიძლება საგამოცდო ცენტრში დასაქმებისათვის განისაზღვროს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და ბსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესაბამისად.
3. ცენტრის უფროსის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
3.1. განათლება: არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
3.2. **სამუშაო გამოცდილება: არანაკლებ 3 წლის** გამოცდილება (უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);
3.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**
ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
ბ) ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“/,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია“ და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;
3.4. ენები/უნარები:
ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;
ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - სასურველია B1 ან მაღალ დონეზე ფლობა;
გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;
დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; დაგეგმვა, ვადებზე ორიენტირებულობა და ორგანიზებულობა.
4. ცენტრის მთავარი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:
4.1. **განათლება:** არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
4.2. **სამუშაო გამოცდილება:** არანაკლებ 2 წლის გამოცდილება (უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);
4.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**
ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
ბ) ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"/,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია" და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

4.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: ინგლისური - სასურველია B1 ან მაღალ დონეზე ფლობა;

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.

5. ცენტრის წამყვანი სპეციალისტის ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

5.1. **განათლება:** <u>არანაკლებ</u> ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

5.2. **სამუშაო გამოცდილება:** <u>არანაკლებ 2 წლის</u> გამოცდილება (უპირატესობა მიენიჭება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/უმაღლესი განათლების სისტემაში/ბსუ-ში მუშაობის გამოცდილებას);

5.3. **სამართლებრივი აქტების ცოდნა (საკონკურსო თემატიკა)/კომპეტენციები:**

ა) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";

ბ) ბსუ-ს წესდება; ბსუ-ს ეთიკის კოდექსი; პერსონალის მართვის პოლიტიკა; ბსუ-ს შინაგანაწესი; ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებებით დამტკიცებული ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"/,,გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია" და საქმიანობის მარეგულირებელი სხვა რეგულაციების ცოდნა;

5.4. ენები/უნარები:

ა) ქართული ენის ცოდნა (წერა/მეტყველება) – C1 დონე;

ბ) უცხო ენის ცოდნა: <u>ინგლისური</u> - სასურველია B1 ან მაღალ დონეზე ფლობა;

გ) საოფისე პროგრამების ცოდნა;

დ) უნარები: პასუხისმგებლობა; ეფექტური კომუნიკაცია; პროცესების მართვის/ადმინისტრირების უნარი; ინფორმაციის/მონაცემთა შეგროვების, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარი; გუნდური მუშაობა; ვადებზე ორიენტირებულობა.